ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5075948

ნომერი: AR1766534

თარიღი : 07.08.2020

გაცემის თარიღი : 24.08.2020

გაცნობის თარიღი : 25.08.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, იპოლიტე ივანოვის ქუჩა N10-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ზანდარაშვილი პ/ნ 01030004510
- თბილისი რეხის III ქ. N 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

საპროექტო მიწის ნაკვეთს არ გააჩნია სამანქანო მისასვლელი გზა და ვერ აკმაყოფილებს მოქმედ რეგულაციებს. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით, საჭიროა მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილ იქნას მისასვლელი სამანქანო გზით.

აქვე გაცნობებთ:

1. ვინაიდან მიწის ნაკვეთს არ გააჩნია მოსაზღვრე საზოგადოებრივი საზღვარი, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების, 31-ე მუხლის თანახმად: განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზი დგინდება მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვრ(ებ)ის ან/და უკანა ეზოს მხრიდან, ხოლო თუ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია საზოგადოებრივი საზღვარი, მაშინ განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზი უნდა დადგინდეს მისი სამეზობლო საზღვრ(ებ)იდან.

წარმოადგინეთ საპროექტო შენობის განთავსების სქემა და გაითვალისწინეთ, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკადასტრო საზღვრებიდან 3 მეტრის ნაძილზე დაუშვებელია შენობის განთავსება. ასევე შენობის სიმაღლე უნდა იანგარიშოთ ყველა საკადასტრო საზღვრის მხრიდან.

2. საპროექტო მიწის ნაკვეთს კვეთს შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს საკუთრებაში არსებული (ს/კN 01.01.834), სააქციო საზოგადოება ,,თელასი“-ს საკუთრებაში არსებული (ს.კ. N01.00.762) და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობები. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების პოზიცია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით, რომელსაც უნდა ახლდეს შესაბამისად დამოწმებული საპროექტო შენობის განთავსების სქემა.
3. დამატებითი ხარვეზები გეცნობებათ ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

მითითებული ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.